

GSM 1800-ში გამოყენებული ელექტრომაგნიტური ველების ცალკეულ ნეირონზე ზეგავლენის გამოკვლევა

არა იონიზებადი ელექტრომაგნიტური ველების (ემ) დიაპაზონი მოიცავს სიხშირეებს 0 ჰერციდან 300 გეგაჰერცამდე. ცოცხალი ორგანიზმები და მათ შორის ადამიანიც ძლიერად ექვემდებარება ასეთი სახის ემფ-ბის ზემოქმედებას, თუმცა, სამწუხაროდ, ადამიანს არ გააჩნია რეცეპტორები ამ დიაპაზონის ემფ-ბის აღსაქმელად, რაც განსაკუთრებით საშიშს ხდის მათ ზემოქმედებას. სხვადასხვა სიხშირის ემფ-ბის ორგანიზმზე ზემოქმედებას სხვადასხვა მექანიზმი გააჩნია. უაღრესად დაბალი და დაბალი სიხშირის ემფ-ბის მიმართ ექსპონიციისას ცოცხალ ქსოვილში აღიძვრება იონური დენები. თუ ემფ სიხშირე რადიოსიხშირის დიაპაზონისაა ზემოქმედება გამოიხატება ბიოლოგიური ქსოვილის მიერ ემფ-ს ენერგიის შთანთქმით, რაც მის გახურებას იწვევს, ეს ბიოლოგიური ქსოვილის ეპიერატურის აწევით გამოიხატება, და აშეარაა რომ მავნე ჯანმრთელობისათვის - ე.წ. სითბური ზემოქმედება. თუმცა უკანასკნელ წლებში დადგინდა, რომ რადიოსიხშირის ემფ-ბის გართა სითბური ზემოქმედებისა ასევე გააჩნია არასითბური უფასებელიც. მაგალითად რადიოსიხშირის ემფ-ბი იწვევენ ადამიანის აღნებადობის გაზრდას, თავის ტკიფილებს, მეხსიერების დაქვითებას და სხვა. ამ სიხშირეების ემფ-ბის უარყოფით ზემოქმედებათაგან უნდა აღინიშნოს აგრეთვე კიბოს გაჩნიას რისკების არსებობა.

სიხშირეზე დამოკიდებული აგრეთვე ემფ-ს ქსოვილში შეღწევის უნარი. ასე მაგალითად, რადიოსიხშირის ემფ მთლიანად განჭოლავს ცოცხალ ქსოვილებს, მაშინ როცა 300 გეგაჰერცი სიხშირის დიაპაზონის ემფ მხოლოდ რამოდენიმე მილიმეტრით შედის ბიოლოგიურ ქსოვილში.

არაიონიზებადი რადიაციის ზემოქმედება ადამიანზე დიდ ხანია მეცნიერთა კურადღების ცენტრშია. შექმნილია რამოდენიმე საერთაშორისო ორგანიზაცია, მათ შორის აღიარებულია ელექტრული და ელექტრონული საინუირო ინსტიტუტი (აშშ) ე.წ IEEE, არაიონოზებადი რადიაციისაგან დაცვის საერთაშორისო კომისია (ICNIRP) და სხვა. ამ უკანასკნელის მიერ შექმნილია სახელმძღვანელოები (რეკომენდაციები) ემფ უსაფრთხოების დონეების შესახებ, რომლებიც აღიარებულია როგორც სახელმძღვანელო მრავალი ქვეყნის მთავრობების მიერ. ცხადია ეს რეკომენდაციები მოიცავს ასევე ემფ იმ სიხშირეებსაც რომლებიც გამოყენებულია მობილურ კავშირგაბმულობაში. უნდა აღინიშნოს, რომ ICNIRP –ის რეკომენდაციები ეფუძნება გასაშუალოების პრინციპს. გასაშუალოება ხდება როგორც სივრცითი ასევე დროის მიხედვით. გასაშუალოების დროდ აღებულია მხოლოდ 6 წუთი, მაშინ როცა მობილური ტელეფონის გამოყენება გაცილებით ხანგრძლივია დღევანდელ პირობებში. რაც შეეხება სივრცით გასაშუალოებას- როგორც საქმე ეხება მობილური ტელეფონის გამოსხივების გავლენას თავის ტვინზე- ხდება ტვინის ქსოვილების მიერ შთანთქმული ენერგიის გასაშუალოება და მიღებული შედეგი აიღება როგორც დაკვირვების დონე. მეორეს მხრივ აშეარაა რომ ტვინის განსაზღვრული არეები შთანთქმვენ იმზე მეტ ემფ ენერგიებს, ვიდრე ეს დაშვებულია ნორმებით. უცნობია თუ როგორ ფუნქციონირებენ ნეირონები ამ პიკური შთანთქმის არეებში. აქვს თუ არა ადგილი აკუმულაციის ეფექტებს განმეორებადი დასხივებების პირობებში. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ძალიან სწრაფად ხდება მობილური აპარატების მოდერნიზირება, მაგალითად გადამტანი სიხშირები თავდაპირველად იყო 800 მეგაჰერცი, ამჟამად 1800 მეგაჰერცია, ხოლო ახლო მომავალში 2,4 გეგაჰერცი იქნება.

მრავალ პასუხისმგებელ კითხვებს შორის მნიშვნელოვანი იყო შემდეგი კითხვები: რა ზემოქმედება გააჩნია თანამედროვე მობილურ კავშირგაბმულობაში გამოყენებულ რადიოსისშირის ელექტრომაგნიტურ ველებს ცალკეულ ნეირონზე? გააჩნია თუ არა ნეირონზე ზემოქმედება იმ დაბალ სიხშირეებს რომლებიც მობილური კავშირგაბმულობის მოდულაციაში გამოიყებენა? აქვს თუ არა გავლენა ნეირონზე მოდულაციაში გამოყენებულთან მახლობელ სხვა დაბალ სიხშირეების ემ ველებს? რა ეფექტი ექნება განმეორებით დასხივებებს ანუ აქვს თუ არა ადგილი ემ ზემოქმედებათა დარგოვებას? აქვს თუ არა ადგილი არათერმულ ეფექტებს?

ამ კითხვების დასმა ბუნებრივად აღიძრა, რადგან ნეირონი წარმოადგენს ტვინის ძირითად ელემენტს და მასზე ემვ-ს ზემოქმედების ცოდნის გარეშე რთულია გაერკვე მთელ ტვინზე ემვ-ს ზემოქმედებათა მექანიზმებში.

გამომდინარე თქმულიადან მოცემული პროექტის მიზანი იყო შეგვესწავლა მობილური კავშირგაბმულობაში გამოყენებული ელექტრომაგნიტური ველების ზეგავლენა ცალკეულ ნეირონზე. დასხულ იქნა ამოცანები, რომლებიც მოიცავდნენ:

- ექსპერიმენტის ბაზის მომზადებას:

ე.წ. განივი ელექტრომაგნიტური უჯრედის დამუშავება 1800 მგჰ-სათვის (ინგლისური აბრავიატურა Transverse electromagnetic cell TEM Cell). შემდეგში გამოვიყენებო ამ ტერმინს - TEM Cell. TEM Cell-ის შექმნა და პარამეტრების დადგენა; დაბალი სიხშირეებით მოდულირებული 1800 მგც გენერატორის დამუშავება და შექმნა; ჰელმინტის კოჭების დამუშავება და შექმნა;
- 1800 მგჰ-ს სიხშირის უწყვეტი ელექტრომაგნიტური ტალღის ნეირონის უჯრედშიგა და სინაფსურ სტიმულაციაზე მიჩვევის პროცესზე გავლენის გამოყენება;
- 1-20 ჰერცი (განცალკევებულად) სიხშირით მოდულირებული 1800 მგც გენერატორის გამოსხივებული ემვ-ის ნეირონის უჯრედშიგა და სინაფსურ სტიმულაციის მიმართ მიჩვევის პროცესზე გავლენის გამოყენება
- 1-20 ჰერცი დაბალი სიხშირის ემვ-ის ნეირონის უჯრედშიგა და სინაფსურ სტიმულაციაზე მიჩვევის პროცესზე გავლენის
- სანგრძლივი განმეორებითი ექსპონიციის ნეირონზე ზემოქმედების კვლევა აკუმულირების ეფექტების გამოვლენის მიზნით

იმისათვის რომ შესწავლილ იქნას ემვ-ს გავლენა ბიოლოგიურ ქსოვილზე და კერძოდ ნეირონებზე საჭიროა, რათა დადგენილ იქნა ემვ-ს ის რაოდენობა რომელისაც შთანთქავს ბიოლოგიური ქსოვილი. ამ ამოცანის გადასაწყვეტად დამუშავებულ იქნა TEM Cell-ი. თავდაპირველად მოხდა TEM Cell -ის კომპიუტერული მოდელირება და მასში ემვ-ს გავრცელების აღწერა.

განივი ელექტრომაგნიტური უჯრედის (TEM Cell-ის) მოდელირება და პატრამეტრების დადგენა


განივი ელექტრომაგნიტური უჯრედი -TEM Cell წარმოადგენს ელექტრომაგნიტური ტალების გამტარს, რომელშიც საკვლევი ბიოლოგიური ობიექტის მოთავსების შემთხვევაში მოხდება ამ ობიექტის დასხივება გამავალი ელექტრომაგნიტური ტალღებით. დღზიმეტრიის ამოცანებიდან გამომდინარე, ასეთ ექსპერიმენტში აუცილებელია, რომ იმ არეში სადაც მოთავსებული იქნება ბიოლოგიური ობიექტი, ელექტრომაგნიტური ველი იყოს ერთგვაროვანი. ეს იმას ნიშნავს, რომ ველი უნდა იყოს ანალოგიური ე.წ. შორი ველისა, სადაც ტალღის ფრონტი არის ბრტყელი. ასეთი ამოცანის გადასაჭრელად საჭროა დადგენილ იქნას TEM Cell-ის როგორც ოპტიმალური ფორმა ასევე ზომები.

იმის გამო, რომ TEM Cell-მა უნდა გაიმეოროს ტალღის გამტარი კაბელის ფუნქცია, გადავწყვიტეთ შეგვექმნა TEM Cell რომელსაც ექნებოდა მართკუთხა გამტარის ფორმა. ამასთანავე გადავწყვიტეთ რომ ბოლოები წაწვეტებული ყოფილიყო. წაწვეტებული ბოლოები საშუალებას იძლევა არეკვლებისა და დანაკარგების გარეშე მოხდეს ელექტრომაგნიტური ტალღის გატარება ტალღგამტარში. წინააღმდეგ შემთხვევაში ველი TEM Cell -ში საერთოდ არ იქნებოდა ერთგვაროვანი, ე.ი შეუძლებელი იქნებოდა დოზიმეტრირება. ამას გარდა TEM Cell -ის შუა ნაწილი ე.წ. septum წამოადგენს განსაზღვრული ფორმის გამტარს, რომლის ბილოები მირჩილულია შესავალ და გამოსავალ ბუდეებთან და იზოლორებული არიან TEM Cell -ის კორპუსისაგან.

პროგრამული პაკეტის დამუშავება

TEM Cell -ის მოდელირებისა და ცოცხალ ობიექტზე ელექტრომაგნიტური ველის ზემოქმედების მოდელირებისათვის გამოყენებულ იქნა სასრულო სხვაობების მქონე დროითი დომენების Finite-Difference Time-Domain (FDTD) მეთოდი, ასევე თერმული ანალიზის მეთოდი. დამუშავებულ პროგრამაში გეომეტრიისა და ზომების პრობლემა წყდება საყოველთაოდ აღიარებულ ფორმულების, როგორიცაა STL, NASTRAN გამოყენებით, ან ხდებოდა ხელით გენერირება. ამასთანავე შესაძლებელია ვიზუალიზირდეს წარმოებული ბაზის გეომეტრია და

მოხდეს მისი რედაქტირება. ამის გამო საშუალება გვეძლევა კონსტრუირებულ იქნას რთული ფორმის სხეულები. შესაძლებელია ბრუნვა ზომების შეცვლა დეფორმირება როგორც ნაწილობრივ ასევე სრულად. სხეულზე ზემოქმედებები ხდება მაუსის გამოყენებით და კეიბორდის გამოყენებით ან ბრძანებათა გამოყენებით console or script არეში.



ელექტრომაგნიტური ველის ცენტრალური გამომთვლელი პროგრამა არის ძირითადი ინსტრუმენტი ელექტრომაგნიტური ველის ანალიზისათვის, რომელიც დაფუძნებულია Yee ალგორითმზე.

დამუშავებული ველის გამომთვლელი საშუალებას იძლევა აღებულ იქნას ყვლა შესაძლო გამოსხივების წყარო, ნებისმიერი გეომეტრიის მქონე სტრუქტურა და ამასთანავე განისაზღვროს ნივთიერების თვისებები. ამ გზით წამოდგენილ იქნას სიხშირეები და ტემპერატურული ეფექტები. შეიძლება გამოყენებულ იქნას სხვადასხვა სასაზღვრო პირობა, რაც უპირატესობას ანიჭებს აღებულ ქსელს. ამრიგად, შესაძლებელია შესრულდეს ყველ ველის გამოთვლა. ამასთანავე შესაძლებელია MAS –ის გამოყენება სათანადო გეომეტრიისათვის (ნაწილობრივი გეომეტრიული პრობლემები), როგორც უფრო ეფექტურისა (ე.ი ნაკლები რესურსების მომთხოვნისა და უფრო სწრაფისა). როგორც კი მოხდება ველის ამოხსნა ყველა წერტილის მიმართ, ხდება ინტეგრალური სიდიდეების გამოთვლა. კერძოდ გამოითვლება შთანთქმის კუთრი თანრიგის (SAR) გამოთვლა. ველის გამომთვლელის გამოსავალი, რომელიც SAR-ის მნიშვნელობებს შეიცავს წარმოადგენს ტემპერატურის გამომთვლელის შესავალს. იმიტაციის მოძრაობა ნაჩვენებია სურათ 1-ზე.

ტემპერატურის ზრდის გამოთვლა ეფუძნება Bioheat –ის განტოლებას (Pennes მოდელი - რომელსაც აქვს ცვლადი სასაზღვრო პირობები. თავდაპირველად ხდება ტემპერატურის საწყისი განაწილების განსაზღვრა. შემდგომ, წონასწორობიდან გამომდინარე ტემპერატურულ გამაწილებაზე დაყრდნობით, ხდება მიღებული SAR –ით ტემპერატურის ნაზრის გამოთვლა. თუ ტემპერატურის გამოთვლისას აღმოჩნდება, რომ ნივთიერების დიელექტრიკული მახასიათებელები მნიშვნელოვნად იცვლება, ხდება პარამეტრების განახლება. ველი გამოითვლება ახალი პარამეტრებით, ვიდრე არ მოხდება ტემპერატურის მდგრადობა.

TEM Cell -ს მოდელირება


დიდი ზომის ოთკუთხა გამტარები ფართოდ გამოიყენება განივი ელექტრომაგნიტური ველებისათვის. ისინი ხასიათდებიან ჰაერის დიელექტრიკობით და თხელი ცენტრალური გამტარით (septum), რომელიც გარშემორტყმულია ოთხკუთხა გამტარით. მთავარი მიზანია არსებობდეს ერთგვაროვანი განივი ელექტრომაგნიტური ველი. პირველად ასეთი გამტარები აღწერილ იქნა კლაუდეს Claudio მიერ. ჩვენს მიერ დამუშავეული TEM cell –ის ზომები მოცემულია სურ. 2 ზე.


TEM Cell

$$|GE|=8.2\text{cm} \quad GB=8.3\text{cm}$$

$$CD=3.6\text{cm} \quad AB=30.6\text{cm}$$

$$FC=2.2\text{cm} \quad GF=BC=0.123$$






$$eb = 7.9 \text{ cm} \quad bc = 0.115$$

$$ab = 27.6$$


$$cd = 2.8 \text{ sm}$$

სურ. 2


septum -ის სისქე $t=1\text{mm}$. septum -ის სიგანის ცვალებადობით მიღწეულ იქნა 1800 მგპც-სათვის septum -ის ოპტიმალური ზომა. მოდელში შესავალზე მოდებულ იქნა 1 კოლტი ძაბვა, 50 ომ წინააღმდეგობით, TEM cell მეორე მხარე ბოლოვდება ასევე 50 ომიანი წინააღმდეგობით, რათა მოხდეს წინაფობათა შეთანხმება. სურ. 3-ზე ნაჩვენებია მოდელირებული TEM cell.



ველის E_z სიმულირებიული კომპონენტი მოცემულია სურ 4-ზე. აქ თითეული ელემენტისათვის გამოთვლილია იმპედანსი, სიმძლავრე და S11. ასეთი ველისათვის ეწვე მდგარი ტალღების კოეფიციენტი ტოლია 1,1-სა ხოლო გადატანილი სიმძლავრე 99,5%-ს შეადგენს. როგორც სურ.5 -ზე ვხედავთ ერთგვაროვანი ველი მიიღება TEM Cell -ის ცენტრალურ ნაწილში და იგი გაცილებით მეტია ვიდრე საკვლევი ბიოლოგიური ობიექტი- მოლუსკის ნერგული სისტემა.



სურ. 4 E_z ველის გავრცელება TEM cell -ში
ნაჩვევნებია სხვადასხვა ფარის ქარგაში.



სურ 5. ველის ერთვგაროვანი ნაწილი TEM Cell-ში.


TEM Cell-ის ელექტრომაგნიტური მახასიათებლების გაზომვა



სურ. 6 შექმნილი TEM Cell -ის ფოტო მობილურ ტელეფონთან ერთად.

გაზომვები ჩატარდა HP 8757A Automatic network Analyzer და HP 8341B Synthesized Sweeper – ის გამოყენებით.

გაზომვების სქემატური გამოსახულება მოცემულია სურ. 7-ზე



სურ. 7 TEM Cell -ის გამოკვლევის სქემა

P_{in}/P_{out} გამოითვლბა ფორმულით

$$P_{in}/P_{out} = 1 - [(KSW-1)/(KSW+1)]^2 =$$

$$4KSW/(KSW+1)^2$$

სადაც KSW არის მდგარი ტალღების კოეფიციენტი,

P_{in} არის TEM Cell-ში შესული ელექტრომაგნიტური გელის სიმძლავრე.


P_{out} არის –ის გამოსავალი ელექტრომაგნიტური გელის სიმძლავრე.

სურ-8 ზე ნაჩვენებია HP 8757A Automatic network Analyzer-ის ეკრანიდან გადაღებული ჩვენება, რომელიც ასახავს დამუშავებული TEM Cell-ის KSW –ბს 1700 მჰ-1900 მჰც სიხშირეების დიაპაზონში.



სურ. 8 TEM Cell-ის მდგარი ტალღის კოეფიციენტები 1700 მგჟბ-1900 მგჟც დიაპაზონში.

სურ 9 – ზე ნაჩვენებია TEM Cell -ის KSW – ბი 500 მგჟც-დან 3 გჟერც სიხშირეების დიაპაზონში.



სურ. 9. TEM Cell-ის მდგარი ტალღის კოეფიციენტები 500 მგვტ-3 გვც დიაპაზონში.

ქვემოთ მოცემულია TEM Cell-ის KSW –ბი და გამოსავალ სიმძლავრეების ფარდობები შესავალ სიმძლავრეებთან სიხშირეთა იმ დიაპაზონებში, რომლებიც შეესაბამებიან მობილური ტელეფონების გამოსხივების სიხშირეებს.

1,77-1,92 Ghz ინტერვალი.

f=1,847 Ghz

SW=1,154

Pout/Pin=99,5%

2,27- 2,38 Ghz ინტერვალი.

f=2,3441 Ghz

KSW=1,36


Pout/Pin=97,7%

980 MHz ინტერვალი.

KSW= 1,14

Pout/Pin=99,5%

ექსპერიმენტული ბაზის მომზადება მოიცავდა აგრეთვე 1800 მგც გენერატორის დამუშავებასა და შექმნას. გენერატორის მოდულაციის სიხშირები უნდა ყოფილიყო 1-20 ჰც. აღნიშნული გენერატორი იქნა დამუშავებული და რეალიზებული. იხ სურ.10



სურ. 10 გენერატორი და TEM Cell.

პელმოლცის კოჭები

1-20 პერცი დაბალი სიხშირის მქონე ელექტრომაგნიტური ველების ნეირონის აქტივობაზე ზემოქმედების შესწავლის მიზნით დამუშავდა პელმოლცის კოჭები. კოჭების წყვილის ცენტრში მაგნიტური ველის მნიშვნელობა გამოითვლება ფორმულით:

$$B = \mu H \approx 0.899 \mu \frac{NI}{R}$$

სადაც:

B არის მაგნიტური ნაკადი გამოსახული გაუსებში,

: არის გარემოს მაგნიტური შეღწევადობა,

N არის ხვიათა რიცხვი


I არის დენის ძალა მავთულში.

R არის კოჭის დიამეტრი მეტრებში.

ჩვენს შემთხვევაში N=523, I_{max}=1 ამპერს. R=0,1 მ. ამრიგად მაქსიმალური მაგნიტური ველი ცენტრში 6 მილი ტესლაა.

SpectranNF-5035- ით კოჭებსშუა არეში სხვადასხვა წერტილებში ველის გაზომვის შედეგად დადგინდა, რომ კოჭებს შუა, ცენტრში, ველი ერთგავროვანია და მისი ზომებია $2 \times 2 \times 2$ სმ. ეს მოცულობა ბევრად მეტია საკვლევი ბიოლოგიური ობიექტის – მოლუსკის ნერვული სისტემის ზომებზე. ერთგაროვნება ინახება დენის ყველა მნიშვნელობისათვის.

სურათზე ქვემოთ მოცემულია შექმნილი პელმჰოლცის კოჭების სურათი.



სურ. 11 პელმჰოლცის კოჭები

პელმჰოლცის კოჭების კვება ხდება დაბალი სიხშირის გენერატორიდან. იმის გამო, რომ გენერატორ იძლევა უაღრესად სუსტ დენებს (მილიამპერის რიგისა) ხოლო მაქსიმალური ძაბვა 15 ვოლტის ფარგლებშია, შეიქმნა სიმძლავრის გამაძლიერებელი, რომელიც ამ დენების პიკურ მნიშვნელობას აძლიერებს 1 ამპერამდე.

ცხრილი გვიჩვენებს დენის მნიშვნელობებს შესავალ წრედსა და პელმჰლცის კოჭების ხვიებში (გაძლიერებულს) და ასევე მაგნიტური ველის ინდუქციის მნიშვნელობას კოჭის შუა არეში.

ცხრილი

დენის მნიშვნელობა შესავალ წრედში მილიამპერებში	დენის მნიშვნელობა პელმჰლცის კოჭების ხვიებში მილიამპერებში	მაგნიტური ველის ინდუქცია მილი ტესლებში
--	---	--

1	100	0.6
2	200	1.14
3	300	1.68
4	400	2.22
5	500	2.76
6	600	3.3
7	700	3.84
8	800	4.38
9	900	4.83
10	1000	6

ემპ-ბის ცალკეულ ნეირონზე გავლენა

ტელეფონების გამოსავალი მაქსიმალური სიმძლავრე 1 ვატის ტოლია. თუმცა ეფექტური სიმძლავრე რომელსაც რეალურად გამოასხივებს ტელეფონი არ აღმატება 0,125 ვატს. ლიტერატურიდან ცნობილია, რომ თავის ტვინის ის ნეირონები, რომლებიც უშუალო სიახლოვეში არიან ტელეფონის გამომსხივებელ ანტენასთან შთანთქავენ დაახლოებით 5ვატი/კგ პიკურ სიმძლავრეს. ეს შეესაბამება 5 ვატ მაქსიმალურ გამოსავალ სიმძლავრეს. გამომდინარე აქედან შესასწავლ შესავალ სიმძლავრეებად აღებულ იქნა 0,125 ვატი და 5 ვატი.

საკვლევი განგლია თავსდება პენოპლასტის მცირე კამერაში. კამერის მოცულობა 1 სმ³ –ია. კამერა ივსება რინგერის სსნარით. პენოპლასტის ელექტრული მახასიათებლები თითქმის იდენტურია ჰაერის ელექტრული მახასიათებლებისა, ამიტომ გამოთვლებში პენოპლასტის პარამეტრები აღებულ იქნა ჰაერის პარამეტრების ტოლად. თითქულ ექსპერიმენტში განისაზღვრებოდა ექსპოზიციაში მყოფი პრეპარატის კოორდინატები, რაც საჭიროა განგლიისა და ცალკეული ნეირონის მიერ შთანთქმული კუთრი სიმძლავრის ე.წ. SAR გამოსათვლებოდ. ასევე გამოითვლებოდა ტემპერატურის ნაზრით, რომელიც ელექტრომაგნიტური ველის მიმართ ნეირონის ექსპოზიციის შედეგია. SAR-სა და ტემპერატურის ნაზრით გამოთვლა ხდება FTDT მეთოდის გამოყენებით კომპიუტერში.

ექსპერიმენტების სერიაში ადგილი ჰქონდა ნეირონის სტიმულაციას უჯრედსშიგა მასტიმულირებელი იმპულსებით და უწყვეტი ელექტრომაგნიტური ველის ზეგავლენის შესწავლას ნეირონის რეაქციებზე აღნიშნული სახის სტიმულირების მიმართ. ნეირონის უჯრედშიგა დენით სტიმულირებისათვის გამოყენებულ იქნა სელსაწყო Picoampere source K 261. დამუშავდა სპეციალური მწყვეტარა, რომელიც განაპირობებს მასტიმულირებელი დენის იმპულსებად გადაქმნას. მწყვეტარას აქვს წყვეტის დროის რეგულირების საშუალება, რაც განაპირობებს მასტიმულირებელ უჯრედშიგა იმპულსთა ხანგრძლივობის რეგულირების საშუალებას. იმპულსების ხანგრძლივობა

იცვლებოდა 4 მილიწამიდან 20 მილიწამამდე. უმეტეს შემთხვევაში აიღებოდა 4 მილიწამი. ეს დრო ბევრად ნაკლებია ქმედების პოტენციალის წინმსწრებ ლატენტურ დროსთან შედარებით და ამრიგად ნებისმიერი რეაქცია მხოლოდ ნეირონში მიმდინარე პროცესებზე არის დამოკიდებული.

ნეირონის სტიმულზე რეაქციების რეგისტრაციისა და უჯრედშიგა სტიმულაციისათვის ხდებოდა ნეირონში ორი მიკროელექტროდის შეყვანა. ერთერთ მათგანზე მიეწოდება დენის იმპულსები, ხოლო მეორე მათგანით ხდება რეგისტრაცია. მიკროელექტროდების ნეირონში შევანისას ნეირონის დაზიანების თავიდან ასაცილებლად გამოიყენება ორი პიეზო მიკრომანიპულატორი PM-20, რომელიც განაპირობებს მიკროელექტროდების მყისიერ და დაუზიანებელ შესვლას ნეირონში. გამაძლიერებლის გამოსავალი მიერთებულია მონაცემთა აღების სიტემა Powerlab Data acquisition System-თან "Powerlab 4-30", რომელიც აღჭურვილია "Chart 5" პროგრამით.


მოლუსკის ნერვული სისტემის აღება კვლევის ობიექტად იმითად საინტერესო რომ, ჯერ ერთი ამ ნეირონების ყველა ძირითადი ბიოფიზიკური და ელექტროფიზიოლოგიური პროცესი და მახასიათებელი იდენტურია უმაღლესი განვითარების ცხოველთა ანალოგიურ პროცესებსა და პარამატრებითან. მეორე და მთავარი ისაა, რომ მოლუსკის ცენტრალურ ნერვულ სისტემაში არიან იდენტიფიცირებადი ნეირონები. მათი ზომა 150-200 მიკრონს აღწევს. ამასთანავე მათი მდებარეობა შეფერილობა და სხვა ყველა მახასითებელი განმეორებადია პრეპარატიდან პრეპარატამდე. ეს საშუალებას იძლევა ექსპერიმენტის პირობები იყოს იდენტურნი.

მიჩვევა (ჰაბიტუაცია) ადებულ იქნა როგორც ცალკეული ნეირონის დონეზე ინფორმაციის შენახვის (დასწავლის) მოდელი.

საკონტროლო ნეირონების უჯრედშიგა სტიმულაცია და შესაბამისი რეაქციები.

ექსპერიმენტის დასაწყისში ნეირონის გაღიზიანება ხდებოდა 0,01 ნა ამპლიტუდის მქონე უჯრედშიგა იმპულსებით. ცდებით დადგინდა, რომ ასეთი ამპლიტუდის მქონე მასტიმულირებელი იმპულსები ვერ იწვევენ ნეირონის ისეთ აღგზებას, რომ ნეირონმა სტიმულს უპასუხოს ქმედების პოტენციალის გენერირებით. შემდეგ ხდებოდა მასტიმულირებელი იმპულსების ამპლიტუდის თანადაონობითი მომატება მანამდე, ვიდრე ნეირონი მათ არ უპასუხდა ქმედების პოტენციალის გენერირებით. ასეთი სტიმულაცია განაპირობებდა ერთ მატიმულირებელ უჯრედშიგა იმპულსზე ერთი ქმედების პოტენციალის გენერირებას. სტიმულირების ასეთი წესი შეიძლება განხილულ იქნას როგორც ნეირონისათვის ინფორმაციის გადაცემის მოდელი. ნეირონის რეაგირებს სტიმულზე გარკვეული დროის განმავლობაში, შემდეგ იწყება ზოგიერთი სტიმულის უპასუხდ გამოტოვება, ხოლო ბოლოს დგება სტიმულისადმი სრული მიჩვევა, რაც იმაში გამოიხატება, რომ ნეირონი აღარ პასუხობს სტიმულებს ქმედების პოტენციალის გენერირებით.

სურ 12-ზე საილუსტრაციოდ ნაჩვენებია ერთერთი იდენტიფიცირებული ნეირონის სტუმულის მიმართ მიჩვევის დინამიკა.




სურ. 12 RPG#3 ნეირონის მიჩვევა 0,1 ნა ამპლიტუდის მქონე უჯრედშიგა იმპულსებით ხტიმულაციაზე. სრული მიჩვევა განხორციელდა 2 წუთის განმავლობაში ხტიმულაციის შემდეგ. მასტიმულირებელი იმპულსთა ხანგრძლივობა 4 მილიწამია. თითეული უჯრედს შიგა მასტიმულირებელი იმპულსი იწვევს ან ქმედების პოტენციალების აღმოცენებას, ან ატრეფაქტს (მცირე კბილანებს) ჩანაწერზე. ამიტომ მასტიმულირებელი იმპულსები უშუალოდ არაა ნაჩვენები. აბცისათა დერძზე გადაზომილია დრო წმ; ორდინატთა დერძზე პოტენციალთა სხვაობა ვოლტებში. გამაძლიერებლის გაძლიერების კუჯიციენტი 100-ის ტოლია. გამომდინარე აქციანტების პოტენციალთა ამპლიტუდა 70 მილივოლტის ტოლია.

ნეირონის მიერ სტიმულზე ქმედების პოტენციალით პასუხის ხანგრძლივობა დამოკიდებულია სტიმულის ამპლიტუდაზე, უჯრედშიგა იმპულსების მიწოდების სიხშირეზე და თითეული იმპულსის ხანგრძლივობაზე. რაც მეტია ეს ამპლიტუდა მით გვიან დგება მიჩვევა. თუ ამპლიტუდა ძალიან მაღალია, (რამოდენიმე ნა) მაშინ მიჩვევა შეიძლება არ დაგეხს. უჯრედშიგა იმპულსების ხანგრძლივობის გაზრდა ადიდებს მიჩვევისათვის საჭირო დროს, თუმცა მიჩვევა ყოველთვის დგება, მაშინაც კი, თუ ამ იმპულსთა ხანგრძლივობა უსასრულოა, ე.ი. ნეირონს ვაღიზიანებთ არა იმპულსებით არამედ მუდმივი დენით. მიჩვევისათვის საჭირო დრო უკუპროპორციულია ზემოთ აღნიშნული სიხშირისა- რაც ნაკლებია ეს სიხშირე, მით გვიან დგება მიჩვევა. მიჩვევის დადგომისას სტიმულაციას ვწყვეტთ. სტიმულაციის განახლება რამოდენიმე წუთის შემდეგ არ იწვევს ამ სტუმულზე ნეირონის მიერ ქმედების პოტენციალებით პასუხს, ე.ი. ადგილი აქვს ინფორმაციის შენახვას. დრო, რომელშიც ხდება აღნიშნული ინფორმაციის შენახვა ვარირებს ნეირონიდან ნეირონამდე, ასევე დამოკიდებულია მატიმულირებელ უჯრედს შიგა იმპულსების ამპლიტუდაზე პირდაპირ პროპორციულად. სტიმულზე ქმედების პოტენციალებით რეაქციის უნარის აღდგენას საშუალოდ სჭირდება 20-30 წუთი. ხელმეორედ იგივე უჯრედს შიგა იმპულსებით სტიმულირების შემთხვევაში სრული მიჩვევის დადგომისათვის საჭირო დრო მცირდება. სტიმულაციის სერიების მრავალჯერადი განმეორების შემთხვევაში შეიძლება მიღწეულ იქნას მდგომარეობა, როდესაც ნეირონა არ გენერირებს ქმედების პოტენციალებს მოცემული ამპლიტუდის მქონე უჯრედს შიგა დენის იმპულსებზე. ი.ე. ხდება ინფორმაციის სრული დასწავლა.

მიჩვევის დროის გარდა ნეირონის უჯრედს შიგა იმპულსებით სტიმულაციაზე მიჩვევა შეიძლება დახასიათდეს ქმედების პოტენციალების წინმსწრები ლატენტური დროით და მათი აღმოცენების ზღურბლით. აღნიშნული ლატენტური დრო არ არის მუდმივი და განიცდის არარეგულარულ ცვალებადობას, თუმცა შეიმჩნევა ზრდის ტენდენცია. სურ

13-ზე მოცემულია ერთერთი ნეირონის ქმდების პოტენციალთა ლატენციური დროები მისი უჯრედშიგა იმპულსებით სტიმულაციის დროს.




სურ. 13 ლატენციური დროების დამოკიდებულება უჯრედშიგა დენის იმპულსის (b_0 იმპულს = ST) ნომერზე, სტიმულის ნომერი ემთხვევა ქმედების პოტენციალის ნომერს.

აბსცისათვის დერძხე გადაზომილია სტიმულის ნომერი.

ორდინატთა დერძხე გადაზომილია ლატენციური პერიოდის დრო მიღიწამებში. ტენდენცია გამოსახულია შევივრები ხაზით. ზრდის ტენდენცია აშკარაა.

ზღურბლის მნიშვნელობა, მსგავად ლატენციური პერიოდისა, განიცდის არარეგულარულ ცვალებადობას, მაგრამ ზრდის ტენდენცია არ შეინიშნება. სურ. 14-ზე ნაჩვენებია ზღურბლის მნიშვნელობის დამოკიდებულება ქმედების პოტენციალის ნომრისაგან.




სურ. 14 ზღურბლის მნიშვნელობის დამოკიდებულება ქმედების პოტენციალის ნომრისაგან. ზღურბლის ვარაიაციები არაა დიდი. ტენდენცია გამოსახულია უწყვეტი შავი ხაზით. ვხედავთ რომ ტენდენცია მუდმივობის კენაც.

უწყვეტი ელექტრომაგნიტური გელის მიმართ ექსპოზირებულ ნეირონების უჯრედშიგა სტიმულაცია და შესაბამისი რეაქციები.

როგორც ზემოთ ნაჩვენები იქნა, სტიმულაციის სერიების განმეორების შემთხვევაში სტიმულაციის ყოველ მიმდევნო სერიის მიმართ ნეირონის რეაქციები კლებულობს. გამომდინარე აქედან დასხივებული ნეირონების სტიმულაცია უჯრედშიგა დენის იმპულსებით ხდებოდა მხოლოდ ერთხელ. შედარება ხდებოდა დასხივებული ნეირონების მიჩვევის დინამიკასა და საკონტროლო ნეირონის მიჩვევის დინამიკას შორის სტიმულაციის მხოლოდ პირველი სერიებისათვის.


სურ 15-ზე ნაჩვენებია ერთეული ნეირონის, რომელიც დაქვემდებარებულია TEM Cell-ში ექსპოზიციას, უჯრედშიგა დენის იმპულსების მიმართ მიჩვევის დინამიკა.



სურ. 15. დასხივებულ ნეირონის მიჩვევა უჯრედშიგა დენის იმპულსებით სტიმულირების მიმართ. ელექტრომაგნიტური გელის მიმართ ექსპოზიცია მოხდა TEM Cell-ში. დასხივების რეჟიმი-არამოდულირებადი (უწყვეტი) ელექტრომაგნიტური გელი. შესავალი ხიმულავრე - 0,125 ვატი. ექსპოზიციის დრო 60 წუთია. შთანთქმის აუთორი თანრიგი-SAR= 0,9 ვატი/კგ. ტენდენცია განვითარდა.

ნაზრდი = 0,1° C. თითვეული მახტიმულირებელი იმპულსის ხანგრძლივობა 4 მილიწამის ტოლია. ხრული პაბიტუაცის დადგა 2 წელია და 30 წამში, რაც ოდნავ მეტია ვიდრე სურ 1-ზე აღწილ შემთხვევაში.


საკონტროლო ნეირონების მსგავსად, დასხივებულ ნეირონთა შემთხვევაშიც, ლატენტური პერიოდი განიცდის არარეგულარულ რხევას, რომელსაც ზრდის ტენდენცია აქვს. სურათ 16-ზე ნაჩვენებია ერთერთი ასეთი დამოკიდებულება ლატენტურ ჟერიოდსა და ქმედების პოტენციალის ნომერს შორის დასხივებული ნეირონისათვის.




სურ. 16. ლატენტური პერიოდის დამოკიდებულება ქმედების პოტენციალის ნომერზე. შეინიშნება ლატენტური პერიოდის არარეგულარული რხევა ზრდადობის ტენდენციით. ნეირონი LPG#3 TEM Cell-ში დაგჭვებულება 60 წელის განმავლობაში. შესავალი სიმძლავრე შეადგენს 0,125 ვატს. დასხივება – უწყვეტ რეზისტორი. შთანთქმის კუთრი სიდიდე SAR=0,9 ვატ/კგ. ტემპერატურის ნაზრდი 0,1° C. აბსისათა დერძზე გადაზომილია ხტიმულის ნომერი, ორდინატა დერძე გადაზომილია დრო წამებში.

ზღურბლის დამოკიდებულება ქმედების პოტენციალის ნომრის მიმართ დასხივებული ნეირონებისათვის მსგავსია საკონტროლო ნეირონების იგივე დამოკიდებულებისა. გამოთვლები გვიჩვენებენ, რომ შთანთქმის კუთრი თანრიგი - SAR დამოკიდებულია შესავალ სიმძლავრეზე, რომელიც მიეწოდება TEM Cell-ს. მეორეს მხრივ, ლიტერატურიდან ცნობილია, რომ როდესაც ხდება მობილური ტელეფონის გამოსხივების შთანთქმა თავის ტვინის ნეირონების მიერ, ეს შთანთქმა არათანაბარია. კერძოდ, ტელეფონის მდებარეობის მიმართ უახლოესი ნეირონები შთანთქავენ გაცილებით მეტ სიმძლავრეს, ვიდრე ტვინის სიდრმისეული ნეირონები. გამომდინარე აქედან, მომდევნო ექსპერიმენტის სერიებში TEM Cell-ის შესავალზე სიმძლავრე გაზრდილ იქნა 5 ვატამდე.

სურ. 17-ზე ნაჩვენებია ერთერთი ნეირონის რეაქციების დინამიკა უჯრედშიგა დენის იმპულსებით სტიმულაციის მიმართ, როდესაც იგი დაექვემდებარა ელექტრომაგნიტურ გამოსხივებას 5 ვატი შესავალი სიმძლავრით TEM Cell-ში.



δ




ბ

სურ. 17. LPG #3 ნეირონის რეაქციები 0,1 ნა ამპლიტუდის მქონე უჯრედშიგა დენის იმპულსებით სტიმულაციის მიმართ. TEM Cell-ში ელექტრომაგნიტური ველის შესავალი სიმძლავრე შეადგენს 5 ვატს ექსპოზიციის დრო 60 წუთი. დასხივების რეჟიმი არის არამოდულირებადი უწყვეტი ელექტრომაგნიტური ველი. გამოთვლილი SAR=5,3 ვატი/კგ. ტემპერატურის ნაზღდი 4,8°C ტოლია.

ა) ნეირონის რეაქციები ხტიმულაციის დასხაწყისში.

ბ) ნეირონის რეაქციები ხტიმულაციის 14-ე წუთზე. აშკარაა, რომ მიჩვევა არ ჩამოყალიბდა 14 წუთიანი ხტიმულაციის ფონზე კი. მიჩვევის დათრგუნვა აშკარაა.

ლატენტური პერიოდზე დაკვირვებამ გამოააშკარავა, რომ გაზრდილი შესავალი სიმძლავრის პირობებში საშუალო ლატენტური პერიოდი შემცირებულია საკონტროლო ნეირონების საშუალო ლატენტურ პერიოდთან შედარებით. სურ. 18 ზე ნაჩვენებია ქმედების პოტენციალის ნომრიდან ლატენტური პერიოდების დამოკიდებულებები დახივებული და დაუსხივებელი ნეირონებისათვის.



ეგრ. 18 ნეირონები -- ორივე RPG#3. ლატენციური პერიოდის დამოკიდებულება ქმნდების პოტენციალის ნომრიდან საკონტროლო ნეირონისათვის (Series 1) და დასხივებული ნეირონისათვის (Series 2). ორივე ნეირონისათვის ლატენციური პერიოდის ტენდენცია ზრდადია, თუმცა აშკარაა, რომ დასხივებული ნეირონისათვის საშუალო საშუალო ლატენციური პერიოდი მნიშვნელოვნად მცირეა საკონტროლო ნეირონის შესძამის საშუალო ლატენციურ პერიოდთან შერდაგბით. დასხივებული ნეირონისათვის TEM Cell-ზე ექსპოზიციის ხანგრძლივობა შეადგენს 60 წუთს. შესავალი სიმძლავრე 5 გატია. SAR 5,1 გატი/გზ. ტემპერატურის ნაზრით შეადგენს 5°C.

შედეგი 1800 მგპც სიხშირის უწყვეტი ელექტრომაგნიტური ველის ნეირონის უჯრედშიგა სტიმულაციაზე მიჩვევის პროცესზე გავლენის შესახებ:

შესავალი სიმძლავრის 0,125 გატი მნიშვნელობისას ცალკეულ ნეირონის მიერ შთანთქმული ენერგიისათვის შთანთქმის კუთრი თანრიგი - SAR 1 გატი/გზ-მდება. ასეთი ელექტრომაგნიტური ველის ზემოქმედება არ იწვევს ნეირონის მიჩვევის დინამიკის მნიშვნელოვან შეცვლას საკონტროლო ნეირონებთან შედარებით. ორივე შემთხვევაში თოთქმის ტოლია მიჩვევისათვის საჭირო დრო.

შესავალი სიმძლავრის 5 გატის პირობებში შთანთქნის კუთრი თანრიგი- SAR მნიშვნელობა 5 გატი/გზ ფარგლებშია. ნეირონის მიერ სიმძლავრის შთანთქმის პროცესი თერმულია, რადგან ტემპერატურის ნაზრდი მნიშვნელოვანია და 5°C ფარგლებშია. ასეთი დასხივება ცვლის ნეირონის მიერ სტიმულზე რეაქციის დინამიკას და თრგუნავს ნეირონის მიჩვევის უნარს.

1800 მგპც სიხშირის უწყვეტი ელექტრომაგნიტური ტალღის ნეირონის სინაფსურ ხტიმულაციაზე მიჩვევის პროცესზე გავლენა.


ადამიანისა თუ ცხოველის ტვინში ნეირონები ურთიორთქმედებენ ერთმანეთთან და გადაცემენ ინფორმაციას სინაფსური კავშირების საშუალებით. თუ განვიხილავთ ორი ნეირონისაგან შემდგარ სისტემას, რომლებიც სინაფსური კავშირითაა დაკავშირებული, ვნახავთ, რომ თითეული მათგანის ცალკე ცალკე აღგზნების პირობებში აღგზნება გადაეცემა მხოლოდ ერთი ნეირონიდან მეორეს, მაშინ როცა პირუკუ აღგზნებას ადგილი არ აქვს. პურუკუ აღგზნება შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ იმ

შემთხვევაში როდესაც არსებობს მეორე სინაფსიც, ოდონდ მიმართული მეორე ნეირონიდან პირველისაკენ. ამრიგად, ერთი ნეირონიდან აღგზნება რომ გადაეცეს მეორე ნეირონს საჭიროა ეს აღგზნება აღიძრას ჯერ პირველ ნეირონში. ეს გამოიწვევს ქმედების პოტენციალების სერიის გაჩენას პირველ ნეირონში. როდესაც ეს პოტენციალები მიაღწევებს სინაფსეს, ისინი გამოიწვევენ სინაფსურ ჭრილში ნეირო- მედიატორის გამოყოფას. ნეირო მედიატორი თავის მხრივ იწვევს მომდევნო ნეირონის მებრანის (ე.წ. პოსტსინაფსური მებრანის) დეპოლარიზაციას და ზღურბლის მიღწევის შემთხვევაში ქმედების პოტენციალის(ების) განერაციას. შემავალ იმპულსთა ქარგაში ჩაწერილია პრესინაფსური ნეირონიდან მომდინარე ინფორმაცია.

ცოცხალი არსებები ცხოვრობენ განუწყვეტლივ ცვალებად გარემოში. მათ უწევთ ამ ცვლილებებთან შეგუება. ევლოუციის პირობებში ის ორგანიზმები, რომლებსაც გამოუმუშავდათ შეგუების უნარი გადარჩენენ, ხოლო ამ უნარის არა მქონენი გადაშენდნენ. ნერვული სისტემის მქონე ცხოველებში შეგუებადობას განაპირობებს მათი ნერვული სიტემა და ტვინი. ტვინის აქტივობა ხასიათდება დასწავლის უნარით. ინფორმაციის დასწავლა ანუ შენახვა მნიშვნელოვანწილადაა დაკავშირებული ტვინში მიმდინარე პლასტიურ გარდაქმნებთან. პლასტიურობა გვხვდება სხვადასხვა დონეზე დაწყებული მოელი ტვინიდან და დამთავრებული ცალკეული ნეირონით თუ ამ ნეირონის ქვე დონეებით. პლასტიური ცვლილებები მოიცვავენ ორ ასპექტს, ერთია მიწოდებული სტიმულის განმეორების პირობებში რეაქციის გაძლიერება ანუ ფასილიტაცია, ხოლო მეორე პირიქით- მიწოდებული სიგნალების გამეორების პირობებში რეაქციის შესუსტება და ჩაქრობა ანუ ჰაბიტუაციას ასევე მოიხსენებენ ეწ. ნეგატიური დასწავლის სახელითაც. იმის გამო რომ ნეირონიდან ნეირონში ინფორმაცია გადაეცემა სინაფსური კავშირების საშუალებით ჰაბიტუაციის მიხეზი სინაფსებში უნდა ვეძებოთ. სინაფსური ჰაბიტუაციას ორი გამოვლინება აქვს – პრესინაფსური და პოსტსინაფსური. პრესინაფსური გამოვლინებისას ადგილი აქვს შემდეგ პირობებს: სტიმულის განმეორების პირობებში ხდება გადამცემ ნეირო- მედიატორის სულ უფრო მეტად გამოყოფა. თუ სტიმულაცია დიდხანს გრძელდება მოხდება მედიატორის გამოლევა. ამის გამო შემომავალი ქმედების პოტენციალებია აღარ არიან ეფექტური, რათა გამოიწვიონ მედიატორის გამოყოფა და მაშასადამე მომდევნო ნეირონია აღგზნება. გაცილებით რთული მექანიზმები უდევს საფუძვლად პოსტსინაფსურ ჰაბიტუაციას. რადგან ამ შემთხვევაში ხდება პოსტსინაფსური მებრანის დესტრინაცია, რის გამოც შემომავალი აღგზნება აღარაა საკმარისი რათა აღაგზნოს ნეირონი და გამოიწვიოს ქმედების პოტენციალთა გენერირება.

დასახული ამოცანის გადასაწყვეტად შემდეგი მეთოდიკა იქნა შემუშავებული:
თავდაპირველად ხდება ცხოველის ტვინისა (ნერვული განგლიების) და მისი მკვებავი აფერენტული ნერვების ამოკვეთა. ეს იზოლირებული განგლიები თავსდებოდა რინგერის სხარში, რომლის შემადგენლობაა: NaCl 80 მოლ ; KCl 4მოლ ; CaCl_2 7მოლ ; MgCl_2 5მოლ ; Tris-HCl buffer 5მოლ ; $\text{pH}=7.5$. საკვლევად აღებულ იქნა იდენტიფიცირებადი გიგანტური ნეირონები. მათი ელექტროფიზიოლოგიური და ბიოფიზიკური პარამეტრები განმეორებადი არიან ცხოველიდან ცხოველში. ეს საშუალებას გვაძლევს შევაღებით საიმედო სტატისტიკური სურათი დასახული ამოცანის გადასაჭრელად. ნეირონების სინაფსური გზით სტიმულაციისათვის შევიმუშავებულ იქნა შემდეგი სახის მეთოდიკა: გახდებო რომელიმე აფერენტული ნერვის სტიმულაციას დაბინის იმპულსებით. მიწოდებული სტიმულაცია სინაფსური გზით გადაეცემა საკვლევ ნეირონს. ნეირონის სტიმულზე რეაქციების შესასწავლად შერჩეულ საკვლევ ნეირონში თავსდება მიკროელექტროდი.

ექსპერიმენტის სქემა მოცემულია სურ. 19-ზე ქვემოთ.



სურ. 19 განგლიების სქემატური გამოსახვა. იდენტიფიცირებული გიგანტური ნეირონები აღნიშვლია ციფრებით. პირველი გაფართოება სქემატურად გვიჩვენებს ნეირონის უჯრეშიგა რეგისტრაციისა და სტიმულაციის სქემას, მეორე გაფართოება სქემატურად გვიჩვენებს ნერვის სტიმულაციას შემწოდების საშუალებით.


თუ განგლიების აფერენტული ნერვები, რომელსაც უნდა მიეწოდოს სტიმულაცია, არ იქნება სითხეში (მარილ სსნარში) მოთავსებული, მაშინ ისინი ძალიან სწრაფად გამოშრებიან და დაკარგავენ სიციცხლის უნარიანობას. მეორეს მხრივ, თუ კი სითხეში მოთავსებულ ნერვს დავაკონტაქტებთ გამტართან ძაბვის იმპულსების მოსადებად და მოვდებთ ძაბვას აღზნების ეფექტს ვერ მივიღებთ. ამის მიზეზი კი ისაა, რომ ნერვები მარილსსნარით დაშუნტული აღმოჩნდება, რომლის წინაღობა გაცილებით ნაკლებია ნერვის წინაღობასთან შედარებით. გაზომვებმა გვაჩვენეს, რომ ნერვის წინაღობა რამდენიმე ასეული კილომეტრის რიგისაა, მაშინ როცა მარილსსნარის წინაღობა არ აღმატება ომის მეათედ ნაწილებს. ამ წინააღმდეგობის გადასალახავად შევიმუშავეთ შემწოვი ელექტროდების სიტემა, რომლის არსი შემდეგია: ვიღებთ მინის კაბილარს, რისგანაც ჯერ მზადდება მიკროეკლექტროდი, შემდეგ ხდება წვერის წაკვეთი ისე, რომ მასში ნერვის შეწოვისას ნერვმა სრულად შეავსოს ელექტროდის მთელი სივრცე. ასეთ შემთხვევაში ელექტროდის შიგ მოთავსებილ სსნარსა და რინგერის სსნარს შორის ელექტრული კონტაქტი მხოლოდ ნერვის საშუალებით განხორციელდება.

დასახული ამოცანის გადასაჭრელად უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს ექსპრიმენტის ზუსტ განმეორებადობას, რათა დადგინდეს შესაძლო განსხვავება საკონტროლო ნეირონების რეაქციებისა და ელექტრომაგნიტური გელის მიმართ ექსპოზირებულ ნეირონებს შორის. ამისათვის სტიმულაციის პირობები ზუსტად განსაზღვრული და

განმეორებადი უნდა იყოს. შემჩნეულ იქნა, რომ მარცხენა პალიალური ნერვი კუნთთან ინერვაციის მიდამოში იყოფა ორ ნაწილად. გამომდინარე აქვდან სტიმულაციისათვის ვიღებთ ორ შემწოვ ელექტროდს, რომლებშიც შეიწოვება მარცხენა პალიალური განგლიის ეს ორი განშტოება. ექსპერიმენტის იდენტიფიცირებადობისათვის რჩება მხოლოდ ამ ნერვების მასტიმულირებელ სიგნალთა იდენტიფიციურობა. ამის გადასაწყვეტად ვიყენებთ ჩვენს მიერ კოსტრუირებულ სტიმულატორს. სტიმულატორი იძლევა საშუალებას მივიღოთ სხვადასხვა სიხშირით ძაბვის იმპულები. ძაბვის იმპულსების ხანგრძლივობა და ამპლიტუდა რეგულირებადია სურვილისამებრ.

სინაფსური გზით ნეირონის აღსაგზნებად შემწოვ ელექტროდებს მიეწოდება ძაბვის იმპულსები. იმპულსების სერიაში თითეული იმპულსის ხანგრძლივობა 50 მილიწამის ტოლია. მათი მიმდევრობის სიხშირე 1,0 ჰერცით განისაზღვრა. სტიმულაციას ვიწყებთ ყოველთვის მინიმალური მნიშვნელობიდან- 0,1 ვოლტიდან. ასეთი ამპლიტუდის სტიმული ზღურბლოვანია. შემდეგ ხდება ამპლიტუდის თანდათან მომატება, ვიდრე რეაქციებში არ გამოჩნდება ქმედების პოტენციალები.

სურათ 20-ზე მოცემულია ტიპიური სურათი მარცხენა პარიეტალური განგლიის №3 იდენტიფიცირებადი ნეირონის რეაქციებისა მარცხენა პალიალურ განგლიაზე სტიმულის მიწოდების პირობებში (საკონტროლო ნეირონი). სტიმულის ამპლიტუდა ზღურბლს აღემატება და შეადგენს 0,5 V.



სურ 20. ოსცილოგრამაზე ვხედავთ ნეირონის რეაქციებს ქმედების იმპულსების გენერირების სახით ნერვზე მასტიმულირებელ ძაბვის იმპულსების მოდების გამო.

ძაბვის იმპულსების მიმდევრობა მოცემულია ოსცილოგრამის ქვეშ. ამ მასტიმულირებელ იმპულსთა ამპლიტუდა შეადგენს 0,5 ვოლტს. მიმდევრობის სიხშირე 1 ჰერცია. თითეული მათვანის სიგანე 50 მილიწამის ტოლია. აშკარაა, რომ თავდაპირველ თითეული მასტიმულირებელი იმპულსი იწვევს ნეირონის მიერ რამოდენიმე ქმედების პოტენციალის გენერირებას. მასტიმულირებელ იმპულსთა განმეორების კვალობაზე გენერირებულ იმპულსთა სიხშირე კლებულობს და


უტოლდება სტიმულის სიხშირე. პაბიტუაციის დაგდომის შემდეგ ნეირონი უასეულოდ ტოვებს სტიმულს.


ამრიგად, როგორც ვხედავთ, სტიმულის მიწოდებაზე, რომელიც წარმოადგენს აბგვის მულტილის ერთობლიობას, ნეირონი პასუხობს ქმედების პოტენციალების ჯგუფით თითეულ მასტიმულირებელ იპულსზე. ეს რეაქციები თანდათან სუსტება და ბოლოს მყარდება სრული მიჩვევა, რაც იმაში გამოიხატება, რომ მთლიანად წყდება ნეირონის მიერ ქმედების პოტენციალებია გენერირება სტიმულზე რეაქციის სახით. პაბიტუაციის ეს მოვლენა შეიძება განვიხილოთ როგორც ნეირონის მიერ ინფორმაციის გადამუშავება და შენახვა. მოცემული სტიმულის სერია ნეირონისათვის გახდა „ცნობადი”, მან დააგროვა ინფორმაცია და შეწყვიტა ამ სტიმულზე რეაგირება როგორც გადამუშავებულ ინფორმაციაზე. სრული პაბიტუაციის დადგომის შემდეგ სტიმულაციას ვწყვეტო. ამ შეწყვეტიდან 20-30 წუთის ინტერვალში სტიმულაციის ხელახალი მიწოდება ნეირონში არ აღძრავს რეაგირებას ამ სტიმულზე ქმედების პოტენციალებით, რაც იმის მომასწავებელია რომ ნეირონს “ახსოვს” მიწოდებული ინფორმაცია.

თუ სტიმულაციას გავიმეორებთ 30 წუთის შემდეგ ნეირონის რეაქციები ამ სტიმულზე ქმედების პოტენციალების გენერაციის სახით ისევ აღსდგება, ოდონდ რეაქციები ოდნავ შესუსტებილია პირვანდელ რეაქციებთან შედარებით. შემდგომი 30 წუთის დასვენება საშუალებას იძლევა სურათის ადსადგენად, ოდონდ რეაქცია კიდევ უფრო შესუსტებულია. თუ ასეთ სტიმულაციას გავიმეორებთ მრავალჯერ, ნეირონი აღარ რეაგირებს მოცემულ სტიმულზე და შეიძლება ითქვას, რომ ნეირონმა სრულად მოახდინა ინფორმაციის შენახვა. ამრიგად ნეირონი საშუალოდ ინფორმაციას ინახავს მოკლევადიანი მეხსიერების სახით 30 წუთამდე დროის ინტერვალში.

დასხივებულ ნეირონთა გამოკვლევა

სურ 21 ზე ვხედავთ ტიპიურ სურათს დასხივებული ნეირონის (მარცხნა პარიეტალური განგლიოდან) სტიმულზე მიჩვევის დინამიკისა TEM Cell-ში დასხივების შემდეგ. შემავალი ტალღის სიმძლავრე ტოლია 0,125 ვატისა. ნეირონის მიერ შთნოქმული სიმძლავრე უდრის 0,72 ვატი/კგ. ნეირონის მგრძნობელობა დაუსხივებელ ნეირონთან შედარებით გაიზარდა და იგი რეაგირებს 0,5 V ამპლიტუდის სტიმულზე უფრო მეტად ვიდრე საკონტროლო ნეირონები. 30 წუთიანი ინტერვალით დასვენების შემდეგ სტიმულაციის სერიების განმეორებამ გამოიწვია ქმედების პოტენციალების რეაქციების აღდგენა, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ყოველი განმეორებული სერიის შემდეგ რეაქციათა ინტენსივობა კლებულობს და მიჩვევა სწრაფად ვითადრება.






